



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000042787542722

№ 02-25-R

07 / სექტემბერი / 2022 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ


საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე:

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარების და მოდიფიცირების მიზნით შეიქმნას პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
  - 1.1. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარიკა ნადარეიშვილი;
  - 1.2. აკადემიური პერსონალი: პროფესორი ნატალია ზუმბაძე, ასოცირებული პროფესორი თამარ ჩხეიძე, პროფესორი მარინა ქავთარაძე, ასოცირებული პროფესორი ოთარ კაპანაძე;
  - 1.3. მონვეული პერსონალი: ნინო ღამბაშიძე; ია ლადუა - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
  - 1.4. სტუდენტები: მარინე ჭეიშვილი, გიორგი პაპიაშვილი;
  - 1.5. კურსდამთავრებული: ნანა კაცია, თეონა ლომსაძე, ეკატერინე ყაზარაშვილი;
  - 1.6. დამსაქმებელი: ნანა ვალიშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
  - 1.7. ადმინისტრაციული პერსონალი: რუსუდან თაბაგარი - სასწავლო დეპარტამენტის სპეციალიტი;
  - 1.8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის მდივანი - ლიანა ხორბალაძე, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კოორდინატორი;
2. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე დაეკისროს პროგრამის ხელმძღვანელს;
3. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს ლიანა ხორბალაძეს დაევალოს სამუშაო ჯგუფში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით რექტორთან ანგარიშის პერიოდულად წარდგენა (აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით);
4. მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, სამუშაო ჯგუფს კონსულტაციას უწევს ანა ჟორჟოლიანი, რექტორის კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;
5. ჯგუფი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ სამუშაო პროცესში მოიწვიოს კონსერვატორიის შიგნით და გარეთ მომუშავე პერსონალი, რომელიც არ არის ამ ბრძანებით განსაზღვრული;
6. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით და საქმის წარმოების ელექტრონული მართვის სიტემის საშუალებით ეგზავნება კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

7. ბრძანება დაეგზავნოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნინო ბაქრაძეს და სამუშაო ჯგუფების წევრებს;
8. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge);
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 64).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია   
ელემტრონულად

ნანა შარიქაძე